



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080156082240719

№ 3123

22 / ივლისი / 2019 წ.

შპს „ორბი ჯგუფის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ხობის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT160000648;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ორბი ჯგუფი“ (ს/ნ: 406116073);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 3 და 12 ივნისს წარმოდგენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 3 ივნისის №04/1824 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №5892) და 2019 წლის 12 ივნისის № 04/1944 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 6255), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ორბი ჯგუფის“ (ს/ნ: 406116073) მიერ NAT160000648 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2016 წლის 23 აგვისტოს № 139 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის dkhvistani@mail.ru მეშვეობით, 2019 წლის 14 ივნისის №2252 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს ორჯერ ეთხოვა წერილობით საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება ხელშეკრულებაში მითითებულ (იურიდიულ) მისამართზე, თუმცა მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2016 წლის 1 აგვისტოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ (ამჟამად ხობის მუნიციპალიტეტის მერია) გამოაცხადა NAT160000648 ელექტრონული ტენდერი საბავშვო ბაღების მშენებლობის (CPV45214100) სამუშაოების შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2016 წლის 17 აგვისტოს № 4 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „დ.ხ. კომპანი“ (ამჟამად შპს „ორბი ჯგუფი“ ს/ნ: 406116073) და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2016 წლის 23 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა № 139 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები 2016 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 44 708,61 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2016 წლის 22 დეკემბერი.

4.4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 4.2 პუნქტის შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდებოდა საგარანტიო ვადა სამუშაოების მიღებიდან 3 წელი, რა ვადაშიც მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით გამოეწირებინა გამოვლენილი ხარვეზები.

4.5. სისტემაში არსებული ინფორმაციის შესაბამისად, მიმწოდებელმა შეასრულა 45 045,65 ლარის ღირებულების ვალდებულებები.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 27 ნოემბრის № 15/4785 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ და ეთხოვა მათი გამოსწორება შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 29 იანვრის № 15/232 წერილით, მიმწოდებელს კვლავ ეცნობა საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ და ეთხოვა მათი გამოსწორება შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 27 მაისის № 1378/06 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, მიმწოდებელს ორჯერ გაეგზავნა საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით წერილი ხელშეკრულებაში მითითებულ (იურიდიულ) მისამართზე, თუმცა მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ორბი ჯგუფს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ, მან ვერ გამოასწორა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზები, რადგან მიმწოდებელს ორჯერ ეთხოვა წერილობით საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება ხელშეკრულებაში მითითებულ (იურიდიულ) მისამართზე, თუმცა მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო,

საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადანყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სააგენტო ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების შესრულების, ასევე ფაქტს, რომ წერილობითი შეტყობინების საფუძველია საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების გამოუსწორებლობა და მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ორბი ჯგუფის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „ორბი ჯგუფს“ (ს/ნ: 406116073) 2019 წლის 23 ივლისს მიეცეს გაფრთხილება.
- 2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე